572
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-5965



1980 ნოემბერი N 11

# დილა

# სალუტი



ინათა,
დაიგუგუნა,
მეხეთ,
მახათას მხრიდან,
ათიათასი მუშხუნა
ზეცაში ამოცვივდა.
— სალუტი, ჰეი,
სალუტი!—
დაჰკრეს ბალღებმა ტაში!
ეს რა ბრჭყვიალი გაუდის
ღამეს თბილისის ცაში.
ბრიალა,
კუნწულ-კუნწულა
ყვავილი აწვიმს ქალაქს,
ვარსკვლავით გადახუნძლულა
ოქტომბრის ზეცა თანაც.
ლხინი,
სიმღერა,
სიცილი,
ჰეი, ჰეი და ჰეი!—
მზის წილი იხდის სამშობლო
დიდი ოქტომბრის ზეიმს.

მზია ჩხეტიანი



# მალხაზის ალამი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ქუჩაში მოზეიმე ხალხი მიაბიჯებს. ცელქი ნიავი წითელ დროშებს არხევს.

მალხაზი პაპას მისდევს გვერდით და ნიავს ეხვეწება:

— ჩემი ალამიც აფრიალე!

— რა ვქნა, რომ ვერ ჩამოვწვდები?

— ნეტავი მეც დიდი ვიყო,—ნატრობს ბიჭი და რაც შეუძლია მაღლა სწევს ალამს.— პაპა ხელში რომ ამიყვანდეს...

— რას ამბობ,—ჩურჩულებს ნიავი,— შენი პაპა მოხუცია, დაიღლება.

აკი მაგიტომაც არ იღებს ხმას მალხაზი. დროშები კი ფრიალებს, ფრიალებს...

უცებ, თითქოს ფრთები გამოესხაო, ბიჭი მიწას მოწყდა და მაღლა აჭანდა. ასე ეგონა, კოსმოსში გავფრინდიო. ვიღაც მთასავით კაცმა მხრებზე შეისვა და ქვემოდან შემოსცინა:

— როგორ არის საქმე?

ბიჭმა გაუღიმა.

— აბა, ნიავო, დაუბერე!

ნიავს თქმა რად უნდოდა...

— ბრრრ, ბრრრ,—დაიწყო ცეცხლის ალივით ბრიალი ალამმა. ბიჭი სიხარულით ცას ეწია. უნდა პაპამაც დაინახოს. ქვევით გადაიხედა. პაპა აქეთ-იქით იყურება, მალხაზი სად დაეკარგაო, ეძებს. მოდი და ნუ გაგეცინება.

— პაპა!

მოხუცმა თვალი შეასწრო და გაუცინა.

— გაუმარჯოს შვიდ ნოემბერს! — მოისმის ტრიბუნიდან.

— ვაშაა!—ხალხის ხმას უერთდება მალხაზის ხმა.

— ბრრრ, ბრრრ!—დიდ დროშებთან ერთად ცეცხლის ალივით ბრიალებს მალხაზის ალამიც.

მეც ჩემსას მოგიყვებით ძაღლზე.

ჩვენა, ოქრუაანთ, ჩემს ბავშვობაში, ერთი ძუკნა გვყავდა. რაც კი ძაღლები გვყოლია, ან მურა ერქვათ ან ბოთა. იმ ძუკნასაც, მიუხედავად იმისა, რომ ნაბლისფერი უფრო დაჰკრავდა, მურას ვეძახდით. მხოლოდ ცხვირი და თვალები ჰქონდა შავი. პატარა რომ ყოფილა, კუდის წვერიც შავად ჰქონია წაწვეტებული, მაგრამ მე რა დროის ამბავსაც გიყვებით, იმ დროს კუდის ძირილა ჰქონდა შერჩენილი, დანარჩენი წაეჭრათ. შემოგვყურებდა ჭკვიანი, მორჩილი თვალებით და იმ კუდის ძირს გაჩქარებული აქიცინებდა.

როგორც ყველა ძუკნა, ისიც ცოტა ტანგრ-




ძელი იყო და წელში ჩაღუნული. დადიოდა ნელა, მოთენთილივით, ისე მოგეჩვენებოდა, თითქოს სულ ვინმეს ფეხზე მიყუდება უნდაო, მაგრამ, რომ გაცხარდებოდა, ხელხანჯლიან კაცსაც არ შეეპუებოდა.

ერთი თეთრი ბალი გვედგა ვენახში, სამურაბედ ვკრეფდით. შევიდოდა იმ ბალში თვალი, წაიყვანდნენ მურას, მიაბამდნენ იმის ძირზე და იყო იქ დღისითაც და ღამითაც. ხვადი ძაღლები ვერ სძლებდნენ ხოლმე ღამით, წკმუტუნებდნენ, ყმუოდნენ, თავს იკლავდნენ. ის კი იყო ჩუმად, უშიშრად, და მხოლოდ მაშინ დაიყეფებდა, თუ ვინმე ან რამე საეჭვოდ მიუახლოვდებოდა. სულ ვიცოდით, რა ხმით რას უყეფდა. ადამიანს სხვანაირად უყეფდა, საქონელს — სხვანაირად და გარეულ ცხოველს — სხვანაირად. ყველაზე ხშირად ზღარბი აწუხებდა ხოლმე. არ ვიცი, რა უნდოდა იმ ზღარბს, იდგა, გასაბრაზებლად უყურებდა თუ რა — რომ დაიწყებდა ყეფას მურა, ხანდახან მთელ ღამეს არ გაჩუმდებოდა.

ერთხელ მურა მაკე იყო, სულ მალე ლეკვები უნდა დაეყარა. ამინდები კი გაძაღლდა, გაღაუღებლად წვიმდა. წამოიყვანეს საფიჩხიდან და სახლის დერეფანში, კიბის ქვეშ, მშრალში დააბეს. ჩვენ კიდევ — მე, ჩემი ძმა და ჩემი ბიძაშვილები, — იქვე ვთამაშობდით, იმ დერეფანში. ჩემი ძმა პატარა იყო, ხუთი წლისა, მე — დიდი, რვისა, ჩემი ბიძაშვილები უფრო დიდები — ერთი ცხრისა, მეორე თერთმეტისა. არ მახსოვს, რომელმა თქვა პირველად, მურას მუცელში პატარა, კოხტა ლეკვები ჰყავსო. მივიდა ჩემი ძმა, ეს ერთი ბეწო, მთლად უჭკუო, შეუყო მუცელქვეშ ხელი და, ესეც არ ვიცი, უჩქმიტა თუ რა, — აფუო! — მურამ და ეცა შიგ სახეში.

წარმოსადგენია, რა ამბავიც ატყდებოდა. ეს სახეგასისხლიანებული ბალღი და ქალები აქეთ, ის ხელკეტიანი ჩემი მამა-ბიძები — იქით! სცემეს, დაასხეს ცემით მურა. ჩემს ძმას დიდობისასაც ეტყობოდა ორი ნაკბილარი, ერთი ლანვისთავზე, მეორე ქვემოთ, ტუჩის ბოლოზე. კიდევ კარგი, კიდევ კარგი, რომ თვალში არ მოახვედრა კბილიო! მოჰბანეს არყით ჭრილობა, ზედ დაადეს შუაზე გაპობილი ლობიოები და შეუხვიეს. ასე სახეშეხვეული დადიოდა ორსა თუ სამ დღეს, მერე სახვევი მოხსნეს, — ჭრილობები შეხორცებოდა, წითლადღა გამოიყურებოდა მარწყვისოდენებად.

მურას კი უცნაური რამ დაემართა. ჯერ ეგდო სულ მიწაზე, თავაუღებლად, საჭმელს პირს არ აკარებდა, ყველას თვალს არიდებდა, მერე სწრაფი ქეცი აუჩნდა, ბალნის ცვენა დაეწყო, მთლად გასაცოდავდა. ღმერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშველოს — სოფელში ერთი გამოცდილი ვეტექიმი გვყავდა, ის მოვიდა, რაღაც წამალი მოგვცა, იმ წამალს უსვამდა ბებია და მოარჩინა. მურამ ლეკვებიც დაყარა და გაზარდა, მაგრამ თვალები მაინც ისევ ისეთი დარჩა, სულ დაბლა დახრილი და ნაღვლიანი. ღამღამობით კიდევ ყმუილსაც დაეჩვია. იყო, იყო წყნარად და უცებ აყმუვლდებოდა.

ერთი მუღალნოელი თათარი გვეყონაღებოდა, გუმბათა. რთველში ურმით ამოდიოდა ხოლმე და გოდრებს ეზიდებოდა. მაგის ყმუილს ველარ ვიტანთო, — ადგნენ ჩვენები და მურა იმ გუბათას მისცეს. გუმბათამაც გამოიბა ურმის უკან და წაიყვანა. მურა არ გასძალიანებია, წაჰყვა უკანმოუხედავად.

მეორე რთვლობას რომ გამოვიდა გუმბათა, თქვა: მურა სხვარშია, ჩემ ზმასთან, ზალიან კარგი ზალლიაო.

ის იყო და ის, მერე მურასი აღარაფერი გაგვიგონია.

ყმუილისა არც ჩვენებს უკითხავთ რამე, ალბათ არც გუმბათამ იცოდა, არაფერი არ უთქვამს.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე



# მუზეუმის ჭერქვეშ ვდგავართ

გიორგი გიგაური

1.

რა ცეცხლი და
რა ნაცარი,
რა ნაღმი და
რა ტყვია,—
ყოველ საგანს,
ყოველ სურათს,
ყოველ სიტყვას ატყვია.
არის დიდი ისტორია
სწორუპოვარ გმირობის,
მოგებული ომების და
მოურჩენელ ჭრილობის.
არნახული სიმამაცის,
უტყუარი ალღოსი,
სახელიან გზატკეცილის,
უსახელო მაღლობის.
გათქერილი ველ-მინდვრების,
აღდგენილი ბაღების,
ისტორია,
ისტორია
ცხელი სისხლით ნალები.
თავდადება გამცემლიძის,
მატროსოვის დიდება,
შეძახილი შურისგების,
სულის არდამშვიდება.
დამსხვრეული ქონგურები,
დაგლეჯილი აფრები,
ექო ზღვათა აზვირთების,
არწივების აფრენის.
ძლიერება მცირე მიწის
გულში შუქად ჩაღვრილი,
გამარჯვების სიხარული,
მოწკრიალე ჩანგივით.
რაიხსტაგზე ატანილი
დროშა მზემდე აწვდილი,
სიმამაცის, სიამაყის
და სიცოცხლის ნაწილი.
მეგობართა ამღერება
ატყორცნილი ჰანგებად,—
აღარასდროს დამდორდება,
აღარ დაიკარგება.

2.

მუზეუმის პერქვეშ ვდგავართ,
თითქოს ვდგავართ ტალღებზე,
თვითეული ექსპონატი
გვაოცებს და
გვაღელვებს.
მეომართა ერთგულება,
ფიცი გაუტეხელი—
მტკიცე იყო, მტკიცედ დარჩა,
ვით ძაუგის კედელი.
ტარიელებს,
ავთანდილებს,
თინათინებს,
ნესტანებს,
ველარ აგვაქვითინებენ,
ბნელში ვერ ჩაგვკეტავენ.
მამულს ვერ მოგვანატრებენ,
ვერც ულრუბლო ამინდებს,—
გვეძახიან მწვერვალები,
კიდეც უნდა ავიდეთ!
წინაპართა მაგალითით
ვაცისკროვნოთ,
ვაშენოთ,
ვქარგოთ,
ვძერწოთ,
ვაგვირისტოთ,
ვალამაზოთ,
ვამშვენოთ!
შევქმნათ ჩვენი ისტორია—
თავდადების, გმირობის!..
ისტორია კომუნიზმის,
ისტორია მშვიდობის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ღ ო რ მ უ ც ე ლ ა

ამბროსი დოხნაძე

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

პიესა ორ სურათად

### მონაწილენი:

ცუგრია, ღრუტუნა, ფისო, ბეკეკა.

### პირველი სურათი

სოფელი. მოჩანს ხეხილით დამშვენებული ეზო. კარგად მოვლილ ნაკვეთში სიმინდს ტანი აუყრია. საყარაულოს წინ ცუგრიასთან ერთად ბეკეკაა წამოწოლილი.

ღრუტუნა—(შემოდის, რაღაცას ახრამუნებს. ცუგრიას და ბეკეკას ესალმება. ხის კუნძზე ჩამოჯდება).
— უძილობით როგორა ხარ
სხვისი დარდი არ გაწუხებთ
და არც ხალხის ბარაქა.
ღრუტუნა—გირჩევთ, შენს თავზე იფიქრო,
წადი, გაინავარდე...
ბეკეკა— ერთხელ ლუკმა გემრიელი
შენს ჯამშიაც ჩავარდეს!..
ცუგრია— გუშინ იყო, წამეძინა,
ძილშიც პატრონს ვფიცავდი
სიზმარშიც კი ამ ჩემს ყანას
ქურდებისგან ვიცავდი.
(უთითებს მოტეხილი სიმინდის ტაროებზე)
ბეკეკა— რა ვქნა? ჩვენ არ დაგვაბრალო...
ჩვენი სიტყვა იწამე...





ცუგრი, გაფითრებული.
ბეკეკა— შე საწყალო, ხომ არა გაქვს
თავი მოძულებული?!
ცუგრია— რა ვქნა, ძმებო, თქვენცა
ხედავთ,
ყანას—ხალხის მარჩენალს,
პატრონობა სჭირდება
და გამრჯელი მარჯვენა.
ღრუტუნა—რაც მე მახსოვს, გაცვია
ე მაგ შავი ფარაჯა...
ბეკეკა— თუ არ ვცდები, ცუგრიკო,
გაჩენილხარ დარაჯად.
ცუგრია— აბა რა ვთქვა... ჩემს საქმეში
ჩახედული არა ხართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ მაგის ჩამდენი ვიყო
დამეყაროს მიწა მე!

ცუგრია— არა, განა ახლა ხდება,
ძმებო, ჩვენი გაცნობა?
ვიცი, ამას არ ჩაიდენთ,
მჯერა თქვენი კაცობა...
ჩემო ღრუტუ! წავიძინებ,
უამრავი საქმე მაქვს,
ყანას განდობ ჩემს მეგობარს
და ჩემს ძმობილს საქებარს.

ცუგრია წამოწვება, ბეკეკა გადის. ღრუტუნა გახარებულია. როცა დარწმუნდება, ცუგრიას ღრმად სძინავსო, ყანისკენ გაეშურება, რამდენიმე სიმინდს წააქცევს, ტაროებს მოტეხს და ცალკე ალაგებს. ამ დროს შემოდიან ბეკეკა და ფისო.

ფისო— რაც ყოფილხარ, ღრუტუნია,
ჩემთვის გასაგებია.
ქურდბაცაცავ, მთელი ყანა
გაგიჩანაგებია.

(თათს ჰკიდებს, უნდა ცუგრიასთან წაიყვანოს)

ბეკეკა— წამო, ბოლო მოეღება
დღეს მაგ ქურდბაცაცობას.
მთელი სოფელი შეიტყობს
ამ შენს კაიკაცობას!

ღრუტუნა—ფისუნიავ, არ დამღუპო,
ძმაკაცი ხარ ქებული,
შენც ხომ იცი, როგორა ვარ
შენზე შეყვარებული?!

ბეკეკა— (უთითებს ცუგრიაზე)
ჩუმად... ღამენათევია,
ცოდო არის ნამდვილად...

ფისო— ღრუტუნია, ამ ყანაში
ველარ მოხვალ სადილად...

ბეკეკა— გამიგონეთ... იცით, რა ვქნათ?

ღრუტუნა—მაპატიეთ სამიწეს...
თუ კვლავ მნახოთ ამ ყანაში,
ეს მუცელი გამისკდეს.

ფ ა რ დ ა

### მეორე სურათი

იგივე სურათი. აქ არიან ცუგრია, ბეკეკა და ღრუტუნა. ცუგრია ადგილზე ვერ ისვენებს, გაჯავრებულია. მოჩანს წაქცეული სიმინდები და მოტეხილი ტაროები.

ცუგრია— ვერა და ვერ მოვიშორე
ქურდი შემოჩვეული,
წლის მოსავალს მიჩანაგებს
ვილაცაა წყეული.

ბეკეკა— არა, იმას, ვინც ესა ქნა,
შენი მტრობა სწყურია,
არც გული აქვს და არც კაცის
ქუდი არ ახურია.

ღრუტუნა—გუშინდელი არ გეგონოს,
კვალი აზის ახალი,
ალბათ ღამით შეგეპარნენ,
გაქრა მათი გზა-კვალი!..

ცუგრია— ვილაც შინაურმა მიმტრო,
ჭკუა მოკლე ჰქონია,
თუ შევიტყვე, ვაპატიებ?!
ეს ხომ არა ჰგონია?

(მიმართავს ღრუტუნას)

წავიძინებ, ღრუტუ, არ ვარ
უძილობის გამძლები,
სხვა დროს მეც გამოგადგები,
გიდღეგრძელოს და-ძმები.

(ცუგრია ღრუტუნასაგან შეუმჩნევლად ბეკეკას ანიშნებს წავიდეს. ბეკეკა გადის).

ღრუტუნა— ნეტავ მე რას მერიდები,
ნუთუ არა გრცხვენია?
ღამენათევს, დაღლილს, კიდევ
ბევრი მოგითმენია!

ცუგრია— (წამოწევება)
იმედი მაქვს, არ მჭირდება
ახლო შენი გაცნობა,
ასი თვალი გამოისხი,
გერჩის ყმაწვილკაცობა.

(ცუგრია ვითომ იძინებს. თვალებს ხუჭავს და მალე ხვრინვასაც ამოუშვებს. ღრუტუნა ფიქრობს, ცუგრია უკვე ღრმა ძილშიაო, ყანაში გადავა, შერჩევით წააქცევს სიმინდებს და ტაროებს ცალკე ალაგებს).

ღრუტუნა— (ცუგრიაზე) სიზმარშია, დაივიწყა
დარდია თუ წუხილი,
ვერაფერი გააღვიძებს,
ვერც ჭექა, ვერც ქუხილი.

ცუგრია— (ღრუტუნას კარგა ხანს დააცდის—შემდეგ წამოდგება და შესძახებს)
ქურდბაცაცა, საზიზღარო,
ახლა სადღა მიდიხარ,
ბრიყვო! ეგ რა ჩაიდინე,
აღარავის გვინდიხარ.

ღრუტუნა— რასა ბრძანებ, ცუგრიკელავ,
მართლაც ვიყო იუდა,
გავიფიქრე: ამ ტაროებს
ცუგრის ახლოს მივუტან.

ცუგრია— ტყუი, ტყუი, უსინდისოვ!
ფუი, ღორთა გოლიათს,
ქურდს მე სხვაგან დავეძებდი,
თურმე გვერდით მყოლია.

(ცუგრია ეძგერება ღრუტუნას, სიმინდებში დააგორებს. ღრუტუნა ჭყივის, დაუსხლტება ცუგრიას და გარბის. წინ ფისო და ბეკეკა გადაუდგებიან).

ბეკეკა— რა მოგსვლია, ძმაო ღრუტუ?
სისხლი მოგდის ზურგიდან!
რა გეგონა? ცუგრიკელა
ყანას შენთვის უვლიდა?!

ცუგრია— რა ეკუთვნის ახლა ამას?

ბეკეკა— ეს სირცხვილი იკმაროს!

ფისო— რას მიქარავ, რაებს ამბობ...
ახლოს არ გავიკაროთ!

ცუგრია— ვისაც მუქთად სურს ცხოვრება,
სხვის ყანაში ეჩრება,
ქურდობა და სისაძაგლე
არასოდეს შერჩება!

ბეკეკა— გასწი, აღარ დაგინახოთ!

ფისო— გარბის... საით წავიდა?!

ყველანი— „რაც მოგივა დავითა,
ყველა შენი თავითა“.

(ცუგრიას გარშემო ყველანი ფერხულს უვლიან)

ფ ა რ დ ა



მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი



## ვასახელებ ორთავ დედას!

ძიშვარდ ისაკაძე

„დედაენის“ გადაფურცვლაც
არ ვიცოდი წალმა, დღემდის,
ახლა წიგნით გავიგე, რომ
მე შვილი ვარ ორი დედის.
მათგან ერთი იგი გახლავთ,
ვინც არ მტოვებს ძილშიც კენტად,
მეორე კი სამშობლოა—
უტკბილესი სულზე მეტად.
დღეს გარჯაში დავალამებ,
გავათენებ ღამეს თეთრად,
და ვით დიდი წინაპრები,
ვასახელებ ორთავ დედას!

## ზღარბუნიას დაიკო

გაბურძგნული დადის ყველგან
თმებს არ უვლის მაიკო,
და მიტომაც მას დაარქვეს
ზღარბუნიას დაიკო.

## დამიძახა საქანელამ

დამიძახა საქანელამ,
აქ მობრძანდი, ბიჭო გელა,
გამოგაწრთობ ყოჩაღს, ძლიერს,
და... გასწავლი ცისკენ ფრენას!

გული ზუხბა



## ცუგოს ბინა

ავთანდილ მეგრელიშვილი

ფანჯარაში ჩავსვი მინა,
დათბა ცუგოს ცივი ბინა.
ვნანობ, გარეთ არ გამოდის,
დღე და ღამე წევს და სძინავს.



## ზამთრის პირი

ქ. გოგიაშვილი

შემოდგომა მიიწურა,
გირჩს აგროვებს ცელქი ციყვი,
არემარე დალვრემილა,
წყალში არ ჩანს ჭრელი იხვი.
ტყეში მგელი დაძუნძულებს,
დათუნია უვლის ძელქვებს,
ნეშოს ბურგნის, დადანდალებს,
თან ზამთრისთვის ბუნაგს ეძებს.





## ფისუნია მძინარა

ლილი ნუცუბიძე

კაკლიანი კალათი
გაუცლიათ თაგუნებს.
ფისუნია მძინარას
თავში წაუთაქუნეს.

## ავთო და ავტო

ირინე უშვერიძე

პი-პი,
პი-პი,
ავტოს
მიაქროლებს ავთო.
ბებიასთან მიდის,
ცოდოაო მარტო.



### უზბეკური ანდაზები

ბატკანი ფარას რომ მოს-ცილდება, მგლის კერძი გახ-დებაო.

დაკარგულ დანას ტარი ოქ-როსი ჰქონდაო.

### ყაზახური ანდაზა

გონიერსა სიტყვას ეტყვი, ყურის ძირში ჩარჩებაო, უგუ-ნურსა სიტყვას ეტყვი, ცხრა მთას იქით დარჩებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნების კარი

## ციყვი და კოდალა

მიხეილ შილდელი



ერთ ტყეში ნაძვის ხის ფუღუროში ციყვი ცხოვრობდა. ნაძვის ხეს ხოჭოები შეესივნენ ქერქის ქვეშ და მისი მასაზრდოებელი ლაფნის ნაზი ქსოვილის ჭამა დაიწყეს. საწყალ ნაძვს გახმობა ელოდა, მაგრამ მალე გამოჩნდა კოდალა — ტყის სანიტარი და დასტაქარი, მისდგა ნისკარტით იმ დასნეულებულ ნაძვს და დაუწყო კაკუნი, მუსრს ავლებდა ხოჭოებს, მათს კვერცხებსა და ჭუპრებს.

მეორე დღესაც დილაადრიან დაიწყო მუშაობა. ციყვმა თავისი ფუღუროდან თავი გამოყო და გამოსძახა: — შენ ეი, ამ დილაადრიან რომ აკაკუნებ და ძილი დამიფრთხე, რას გადაეკიდე ამ საწყალ ხეს, გინდა ქერქი დაუზიანო და გაახმო? წაეთრიე აქედან!

კოდალას მუშაობა არ შეუწყვეტია, ისე უპასუხა:

— უვიცი რომ არ იყო, მაგ სიტყვებს არ მაკადრებდი. მე ხეს კი არ ვაზიანებ და ვახმობ, პირიქით, ვმკურნალობ, ვასუფთავებ მავნე მწერებისაგან და ბევრი ხე გადამირჩენია გახმობას.



## ფითრი პარაზიტი მცენარეა

ფითრი პარაზიტი მცენარეა, რომელიმე ხეხილს ჩაეწებება, ქერქის ქვეშ, მკვებავ ქსოვილში ფესვებს ჩაუშვებს და წოვს ხის მაცოცხლებელ წვენს. ასე არმად ცხოვრობს ფითრი სხვის ხარჯზე. განსაკუთრებით მას მსხლის ხე უყვარს — ქარისაგან მოტანილი მისი თესლი მსხლის რომელიმე ტოტზე მიეწებება, გაიდგამს ფესვებს და მრავლდება, საწყალი ხე კი თანდათან ხმება, კვდება, პირველ რიგში ის ტოტები უხმება, სადაც ბევრი ფითრია მოდებული. ხეს შემოდგომაზე ფოთლები სცვივა, ფითრი კი ზამთარსაც მწვანედ ხვდება, იბამს პატარა, კვრინჩხელა, თეთრი ფერის ნაყოფს, რომელსაც ჩხიკვები და შაშვები სიამოვნებით შეექცევიან ზამთრობით. ბავშვებო, შენიშნავთ თუ არა ხეხილზე ფითრს, უნდა მოაცილოთ, რათა ხე გახმობას გადაარჩინოთ.

მხატვარი
ნანა სულემენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეგობრები

ბორის ქვარაია

ერთხელ, როცა ჩვენი ლადო
სახლში მარტო იყო,
სათამაშოებით სავსე
ყუთი გადმოიღო.
გადმოიღო და ინატრა
ნეტავ ეს მოხდესო,
რაც ამ ყუთში თოჯინაა
ყველა გაცოცხლდესო!
... უცებ ატყდა სიხარულის
ყიჟინა და ვაშა...
სავარძელზე წამოსკუპდა
ფისო გრძელულვაშა...
ეს რა ხდება: ზოგი აქეთ,
ზოგი იქით გარბის,



მამლაყინწას უკან დასდევს
ციყვი, მელა, ზღარბი.
დათუნია წელზე ირტყამს
ოლიმპიურ რგოლებს,
ცუგრია კი საჭეს უზის,
ავტოს დააქროლებს...
კურდღელი დოლს უბრაგუნებს,
ჩხიკვი ამბობს ლექსებს,
ლადო მღერის, მხიარულობს,
ყველას უალერსებს.
ცუგრიკელამ დაიყეფა:
— მობრძანდება ღილა, —
ჩაეხუტნენ ერთმანეთს და
დაიძინეს ტკბილად.





# ყვავილობა ხვავრიელი

გიორგი წერეთელი

ხილის ხვავი, ყურძნის ხვავი,
კაკლის ხვავი ხვავრიელი
ყველგან დგას, და არსად არ ჩანს
ეზო-ყურე ცარიელი.
ზღაპრულ მზეს და ზღაპრულ მიწას
სიტკბო მოაქვს თქვენთვის, ჩვენთვის...
კახეთში რომ მაჭარი დუღს,
იმერეთი რთველში შედის.
ქართლი ხილს რომ მიინახავს,
კოლხი ციტრუსს გამოარჩევს,
მანდარინის ხვავი უდგას
სანოემბროდ ბაბუაჩემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ზარბი გომბო

ზღაპარი

ერთხელ, თვალებგადმოცვენილი, მწვანე გომბეშო გომბო ჭაობის პირას, თავმომპალ კუნძზე წამობღენძილიყო და ხამუშ-ხამუშ ბუზებსა ყლაპავდა. სიცხით მოთენთილს უცებ თვალი მოსტაცა მჭედლის ქოხის წინ სვეტებზე მიბმულმა ბედაურებმა,— ერთი ქათქათა იყო, მეორე—წაბლისფერი, ბზვინვარბეწვიანი.

ქოხიდან მკერდგაღეღილი, ფეხშიშველი ვაჟები გამოვიდნენ და ბედაურებს კისრის მოგრეხა მოუნდომეს, მაგრამ რაშები არ დანებდნენ. აფრუტუნდნენ, ყალყზე შედგნენ, მიწა დატორეს. მტვრის მოთეთრო-მოყვითალო, ზამბარისებრ დახვეული კორიანტელი ლურჯი ცისკენ აიგრაგნა.

ბიჭებმა ხერხს მიმართეს, აკი ნათქვამია „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო...“—ცხვირზე და ფეხებზე თოკი შემოახვიეს გაჯიუტებულებს და სათითაოდ ძირს დასცეს.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ატყდა ჩაქუჩების ჰახაჰუხი. მოწითალო-მოლურჯო ნაპერწკლები მაშხალების თაიგულებივით ამოცვივდნენ ცხენთა ფლოქვებიდან.

— ნალები მეც მჭირდება! — დაეხარბა ბრჭყვიალა რკინის ნაჭერს გომბო. ხტომა-ხტომით ქოხისკენ გასწია და გულაღმა აშხლართულმა მჭედლებს ფეხები შეუშვირა, ვითომ ბედაურებზე ნაკლები რითი ვარო.

ყველანი ახარხარდნენ, ვის გაუგონია ბაყაყი და ნალიო. გომბო არ ცხრებოდა, შავჩაქუჩიან ვაჟს არ ეშვებოდა, გულისწამღებად ყიყინებდა.

ვერა და ვერ დააჯერეს. ბოლოს თავმობეზრებულებმა ქურას ერთხელაც შეუბერეს და გომბოს სარგო ნალებიც წამში გამოჭედეს.

გრძელმა, ფართოქუდიანმა ლურსმნებმა აუტანელი ტკივილი მიაყენა აბეზარ გომბოს, ის კი იხტიბარს არ იტეხდა, გატვრენილიყო, მხოლოდ საცერივით გაფართოებულ გუგებში შეატყობდით, როგორ იტანჯებოდა.

ამასობაში ნათესავ-მეგობრებიც მოფართხუნდნენ, გაძვალტყავებულ ფეხებზე წამოიწიეს, თვალები დაკოსეს, არიქა, არაფერი გამოგვეპაროსო; გულგრილნი არც უცნობნაცნობი ვასაკები დარჩენილან, თუთის ტოტებიდან პანტაპუნტით გადმოცვივდნენ, გომბოს დახმარება ხომ არ სჭირდებაო.

მჭედლები უკვე ვეღარ თმობდნენ დაწყებულ საქმეს, ოთხივე ფეხზე კოხტა ნალებიააკრეს გომბეშოს.

ჭაობამდე ძლივსძლივობით მიათრია გომბომ ტანი და, იქნებ წყალმა ტკივილი მომიშუშოსო, ლეყეპოზე სულმოუთქმელად მოადინა ტყაპანი.

პატარა შვილიშვილები ნაპირთან დამწკრივდნენ, — როდის ამოყვინთავს ბაბუაჩვენიო, ის კი არა და არ ჩანდა... დღემდე არ გამოჩენილა. ალბათ სიხარბემ ჭაობის ფსკერს დააკრაო, — ამბობენ.

**გიორგი ჯინჯოლია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბაბაზი** — კახეთის ერთ-ერთი მოზრდილი და კარგად ცნობილი სოფელია. ასევე ჰქვია სოფელს ქართლშიც. გავაზი მტაცებელი ფრინველია, რომლის სახელიც პირდაპირ, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ქცეულია სოფლის სახელად. სოფლის სახელებად ასევე გვხვდება სხვა ფრინველთა სახელებიც: ბორი, ბორითი, წრომი, ორბეთი და სხვანი.

**ლამისყანა** — ქსნის ხეობაში მდებარე ეს სოფელი კარგად არის ცნობილი დავით გურამიშვილის ბიოგრაფიიდან: ლეკებმა დავითი აქედან გაიტაცეს.

ლამი ეწოდება წყლის დანალექ სილას, აგრეთვე უქვო და ადვილად დასამუშავებელ შავ მიწას. ამგვარი ნოყიერნიადაგიანი ადგილის მიხედვით დარქმევია სოფელს ლამისყანა. გარდა ამისა, დუშეთის რაიონში არის სოფელი ლამოვანი, ხოლო მცხეთის რაიონში ერთ სოფელს უბრალოდ ლამი ჰქვია.

**ხრამი** — მტკვრის მარჯვენა შენაკადია. ზედ აგებულია დიდი ელსადგური — ხრამჰესი. სახელწოდება ხრამი იმაზე მიუთითებს, რომ მდინარის კალაპოტის დიდი ნაწილი დახრამულია.

ამ მდინარის მეორე სახელწოდება — ქცია მთლად ნათელი არ არის. შეიძლება ის იმაზე მიუთითებდეს, რომ მდინარის კალაპოტი დაქცეულია. ე. ი. ხრამი და ქცია სხვადასხვა სიტყვით გამოხატავენ ერთნაირ შინაარსს.

პროფ. **ზურაბ ჭუმბურიძე**




ძვირფასო ოქტომბრელებო, გოგონებო და ბიჭუნებო! ყოველ თქვენგანს სურს ღონიერი და მოქნილი იყოს, სწრაფად დარბოდეს, შეეძლოს მაღლა და შორს ხტომა, ლამაზად სიარული.

წლევანდელმა ოლიმპიურმა თამაშებმა ალბათ კიდევ უფრო შეგაყვარათ სპორტი და სპორტსმენობა, ჰოდა, რადგან ეს ასეა, მოდით დღეიდანვე შევუდგეთ საქმეს — გამოვაწრთოთ, გავაკაჟოთ, გავავარჯიშოთ ორგანიზმი, მოვამზადოთ იგი სამომავლოდ. მაშ, ასე კარგად დააკვირდით ამ ტანვარჯიშულ გაკვეთილებს. ეს ვარჯიშები ძალზე იოლია და თამაშს წააგავს. ვარჯიშის შესრულებისას უნდა წარმოიდგინოთ ცხოვრების სხვადასხვა სურათები — მაგალითად, ვაშლის კრეფა, თავზე დადგმული კალათით ან კოკით სიარული, ლეკვის სირბილი, ველოსიპედის პედალის ტრიალი და სხვა.

ამ ვარჯიშების შესრულება უმჯობესია დილაობით, მაგრამ თუ დრო გექნებათ, ნურც დღისით დაიზარებთ. ვარჯიში მით უფრო სახალისო და მოუწყინარი იქნება, რაც უფრო მეტნი იქნებით.



### ვაშლის კრეფა

სწორად დადექი, ღრმად ჩაისუნთქე, ხელები მაღლა ასწიე და თითის წვერებზე აიწიე, ისე, თითქოს ვაშლის ტოტს გინდა მიწვდე. რამდენიმე წამს შეყოვნდი (ვაშლს ხომ მოწყვეტა უნდა), მერე ნელ-ნელა დაიხარე, ჩაისუნთქე და ამოისუნთქე.

### თავზე დადებული წიგნი

თავზე წიგნი დაიდე და წელგამართულმა გაიარგამოიარე. სიარულისას წიგნი თავიდან არ უნდა ჩამოგიცურდეს.

ალბათ კინოში გინახავთ, ზოგიერთ ქვეყნებში ქალებს კალათები თავზე დადებული დააქვთ, ის ქალები მეტად მოხდენილები არიან და ლამაზადაც დადიან.





### თოჯინობანა

გინახავს თოჯინების ცეკვა თეატრში? გახსოვს როგორ ათამაშებენ ხელფეხს? ჰოდა, ახლა იმათ მიბაძე, ჩაბუქნე, მერე სწრაფად ახტი და ხელ-ფეხი გაშალე. შემდეგ ისევ ჩაბუქნე. ეს ცოტა არ იყოს ძნელი ვარჯიშია. აბა, რომელი იმარჯვებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲩᲘᲢᲘ

თავქვე დაწექი, ხელ-ფეხი ფრთებივით გაშალე. მუხლები და ფეხები იატაკს დააჭირე, წამოსწიე თავი, გულმკერდი, თან ხელები ჩიტივით გაშალე და წინ იცქირე.





## ᲯᲓᲝᲛᲔᲚᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

დაჯექი, ბურთი ფეხებშუა მოიქციე და მაღლა-მაღლა ასწიე, ხელებით იატაკს დაეყრდენი და ბურთი ფეხებით შენს წინ მჯდომ ბავშვს გადაუგდე, ახლა ბურთი იმანაც ფეხებით უნდა აიღოს და შენ გადმოგიგდოს. ბურთს ხელი არ უნდა ახლოთ.

## ᲚᲔᲙᲕᲘᲕᲘᲗ ᲝᲗᲮᲘᲗ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ

ოთხზე დადექით და ლეკვივით გაიარეთ. შეეჯიბრეთ ერთმანეთს, რომელი გაასწრებთ?



## ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ ᲣᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲝᲓ

გულაღმა დაწექი, ფეხები მუხლებში მოხარე, მერე წინ გაჭიმე და ისე ამოძრავე, თითქოს ველოსიპედის პედალს ატრიალებდე.





## ᲕᲘᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲦᲝᲜᲘᲔᲠᲘᲐ?

პირისპირ დადექით, მარჯვენა ფეხი მოჭიდავესავით წინ წადგით, ხელები ერთმანეთს ჩასჭიდეთ, მიაწექით, შეეცადეთ ერთმანეთს უკან დაახევინოთ. ვინც მოპირდაპირეს ადგილიდან დაძრავს, გამარჯვებული ის იქნება.

## ᲢᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲐ

დაჯექი, ფეხები გაშალე, წინ გადაიხარე, ხელები წვივს შემოახვიე, დაიხარე და ცხვირი ჯერ ერთ, მერე მეორე მუხლს შეაჯახე.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეამოწმე მახსოვრობა

ყურადღებით დააკვირდით ამ ნახატებს (ერთი წუთის მანძილზე), შემდეგ ჟურნალი დახურეთ და ნახატზე გამოსახული საგნების დახატვა სცადეთ. შეეჯიბრეთ, ვინ რამდენ საგანს დაიმახსოვრებს და როგორი სიზუსტით აღადგენს მათ.




გახსოვთ, ჩვენი ჟურნალის მე-9 ნომერში ციფრებით დაშიფრული წინადადება მოგაწოდეთ. თქვენ უნდა ამოგეკითხათ ეს წინადადება და მერე კი მოცემული ასო-ციფრებით სიტყვები უნდა შეგედგინათ.

ახლა კიდევ ერთ გასართობ ვარჯიშს გთავაზობთ სიტყვების შედგენაზე, ოღონდ სხვა წესით.

დავაკვირდეთ ზოგიერთ ქართულ სიტყვას. აი, მაგალითად, სიტყვა მეფოლადე! ეს სიტყვა შედგენილია მეორე სიტყვა— ფოლადიდან და ნიშნავს ფოლადის მდნობელს; სიტყვა თევზიდან არის მიღებული მეთევზე (ვინც თევზს იჭერს), კიდევ თევზაობა (ანუ თევზის ჭერა); ორი სიტყვა—ყელი და მოხვევა უდევს საფუძვლად ახალ სიტყვას ყელსახვევს—ეს, თქვენ იცით, არის ნივთი, რომელსაც ყელზე ვიხვევთ ორთქლმავალი ორთქლის ძალით მუშაობს და დადის— ეს სიტყვაც შედგენილია ორი სიტყვით—ორთქლი და სიარული. სიტყვა ორთქლიდან არის მიღებული აორთქლება, ფერიდან—უფერო, ფეროვანი... ვინ მოთვლის, რამდენი სიტყვაა ქართულ ენაში შედგენილი სხვა სიტყვის მიხედვით.

## შევთხზათ სიტყვები

ციცინო გამყრელიძე

აბა, თქვენ თვითონ თუ შეადგენთ ახალ სიტყვებს, რომლებიც აქ მოცემულ სიტყვებზე იქნება აგებული, მაგრამ შეცვლის მათს აზრს ან მონათესავე, ოღონდ სხვა მნიშვნელობას მიანიჭებს ამ სიტყვებს. მოგაწვდით კიდევ ერთ ნიმუშს. ავიღოთ სიტყვა ხატვა. ამ სიტყვიდან შეიძლება შევთხზათ ახალი სიტყვები: მხატვარი, სახატავი, მოხატული, დასახატი, დახატული, ნახატი, ხატულა...

ახლა თქვენც სცადეთ!

შეეჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ მეტ სიტყვას შეთხზავს შემდეგი სიტყვების მიხედვით: ქვავილი, სწავლა, ზღვა, თამაში, მღერა.

შეგიძლიათ თვითონაც შესთავაზოთ ერთმანეთს რაიმე სიტყვა და იმ სიტყვაზე ააგოთ მონათესავე სიტყვები.



## ვინ უფრო მალე გამოიცნობს

ამ ნახაზზე თქვენ ხედავთ სხვადასხვა ფორმით გამოხატულ ადამიანის ხელებსა და ფეხებს. რამდენია მარცხენა და რამდენი მარჯვენა? შეეჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ უფრო მალე გამოიცნობს?

## დაბნეული მხატვარი

ერთი მხატვარი ისეთი დაბნეული ვინმე იყო, რომ სულ აურ-დაურია ყველაფერი. აბა დააკვირდით აქ დაბეჭდილ ექვს ნახატს? იქნებ მიხვდეთ სად რომელი ნაწილია ზედმეტი, და ყოველ საგანს თავისი ნაწილი დაუბრუნოთ.



## გამოცანები

ვინ შეიძლება იყოს ისეთი, ხმა არ გაიღოს და ყველას კი ასწავლოს?

ენა არ ჰქონდეს და ყველაფერის შესახებ ილაპარაკოს?

ფეხი არ ჰქონდეს და ყველგან კი იაროს?

ხე არ იყოს და ფურცლები ჰქონდეს?

კაცი არ იყოს და ამბავს ყვებოდეს?

(ადიღ.)

## გონიერი კურდღელი

იყო ერთი ძალიან ზარმაცი, მაგრამ ეშმაკი კურდღელი. მან უმოკლესი გზით მიაღწია თითოეულ სტაფილომდე და ყველა, 50-ვე სტაფილო შეახრამუნა. იგი აქეთ-იქით როდი დარბოდა, შემოხაზული მოედანი მხოლოდ სამჯერ გადაჭრა, მაგრამ ისე, რომ ყველა სტაფილო გზაზე დახვდა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამოცანა ასეთია: ქაღალდზე ხელის აუღებლად გაავლე სამი სწორი ხაზი ისე, რომ ამ ხაზმა ყველა სტაფილო გადაკვეთოს.




საქართველოს ალკკ ცკ-ისა და 3. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს საბავშვო ჟურნალი უმცროსკლასელთათვის

გამოცემის 58-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯუმბერ ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი წიკლაური, გივი ჭიჭინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 10/IX-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X-80 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000. შეკვ. № 2438. „Дила“ № 11. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Тбилиси, ул. Ленина, 14.

6647/160












დედამიწიდან მთვარემდე 400.000 კილომეტრია.

კარგად დააკვირდით ნახატებს და მიხვდებით, ამ დიდი მანძილის გადალახვას რამდენ დროს მოანდომებს აქლემთა ქარავანი, კარეტა, მატარებელი, ავტომანქანა, თვითმფრინავი, ტყვია, რაკეტა. ახლა შენ შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რა დიდი სისწრაფე ჰქონია სინათლის სხივს, რომელიც მთვარიდან დედამიწამდე წამნახევარზე ნაკლებ დროში აღწევს. მისი სისწრაფე წამში 300.000 კილომეტრია.




